საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 2025 წლის სენაკის რაიონული
(მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატი) სასამართლოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით სენაკის რაიონული (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატი) სასამართლოს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა. შ.

2024 წლის 09 დეკემბრიდან, 2025 წლის 08 დეკემბრამდე სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა ,,5" განცხადება.

შემოსული განცხადებებიდან:

- დაკმაყოფილდა - 5 განცხადება;

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ყველა განცხადებას პასუხი გაეცა წერილობითი ფორმით, კანონით დადგენილ ვადაში.

საჯარო ინფომაციის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის - სენაკის რაიონული სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების განყოფილების უფროსის - II რანგის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სალომე კუპრავას მიერ, რომელიც სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საჩივრები არ შემოსულა.

პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტარტ) სასამართლოს, საქმისწარმოების მიზნებისთვის მონაცემების შეგროვებისას, ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ"

ქვეპუნქტით, ხოლო აპარატის თანამშრომელთა მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, შესაბამისად, 2024 წლის 09 დეკემბრიდან 2024 წლის 08 დეკემბრამდე, სასამართლომ პერსონალური მონაცემები გასცა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევის თაობაზე დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლოს თანამშრომლის მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

შალვა კაჭარავა

სენაკის რაიონული სასამართლოს მენეჯერი -
საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების
უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

Shalva Katcharava 02001003509

Digitally signed by Shalva Katcharava
Date: 2025.12.08 13:30:59